საქართველო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:გ-87.87230954
თარიღი:05/04/2023

## განკარგულება №16

## „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის ცენტრალური ქუჩისთვის ალავერდის მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №38 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის ცენტრალური ქუჩისთვის ალავერდის მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №38 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდში მდებარე ცენტრალური ქუჩისთვის (№1 და №3 ქუჩები) ალავერდის მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ“**

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდში არსებულ ცენტრალურ ქუჩას (№1 და №3 ქუჩები) ეწოდოს ალავერდის მონასტრის დამაარსებლის **იოსებ ალავერდელის** სახელი (თანდართული რუკის თანახმად).“.

გ) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.1 და 1.2 პუნქტები:

„1.1 ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ყოფილი №1 ქუჩის:

ა) V ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის I ჩიხი“;

ბ) IV ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის II ჩიხი“;

გ) III ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის III ჩიხი“;

დ) II ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის IV ჩიხი“;

ე) I ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის V ჩიხი“;

1.2 ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ყოფილი №3 ქუჩის:

ა) I ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის VI ჩიხი“;

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

ბ) II ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის VII ჩიხი“;

გ) III ჩიხს ეწოდოს „იოსებ ალავერდელის ქუჩის VIII ჩიხი“.

2. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება ასევე გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას და საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge.

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების და ფირნიშების დამზადება).

6. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი